MES 4 23 0001739275

20/12/2023

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

**ქ. თბილისი**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პეტრე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**მორის დანდურიშვილი** - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - „ახალი სკოლის მოდელის" მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**გვანცა მეტრეველი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ცირა კეჟერაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ქეთი მუთიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ნინო მჭედლიშვილი - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ნათია მახარობლიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი სგანხილვა**
შორენა მამუკაშვილი - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა**
გია მაღლაკელიძე - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ხათუნა ხულორდავა - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გ ანხილვა**
ალექსანდრე ოქროპილაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**სსიპ - ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
დავით ბრეგვაძე - სკოლის დირექტორი
**სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხ ის განხილვა**
თეონა ადეიშვილი - სკოლის დირექტორი
**სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის ავტორიზაცი ის საკითხის განხილვა**
ლელა ქინქლაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
**სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ალექსანდრე კვესელავა - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**

**სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**
გიორგი მომცელიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მადონა მუმლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ინგა ალავერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ავალიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ინგა ცერცვაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ნანა მონიავა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნელიკო მათეშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ცირა ბრეგვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამილა თამაზაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი ს განხილვა:**

ირინა დვალი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მარიამი გარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნანა ავაზაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დარეჯან თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ჩიტაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ინგა დარსაველიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შორენა ნიკოლეიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა:**

ვერა ბენიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ხათუნა საყვარელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექპერტი
გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მორის გუმბარიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანი სალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**
თეა ტაბატაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირმა ამირანაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერ ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
როლანდ ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მედიკო ჯიქია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამარა დარახველიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლანა კუჭავა - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**
როლანდ შავაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნინო უგრეხელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა ნინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**
ლიკა გიორგაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
გიორგი მოდებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე გავაშელიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარი კვანტიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხ ის განხილვა:**
ინა ბიწაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ლელა ეუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევანი ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო კოვზიაშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის ავტორიზაცი ის საკითხის განხილვა:**
დავით ლიპარტელიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამარ ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერ ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ობელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**
გიორგი ნებიერიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
სოფიკო ბოქოლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნადეჟდა იოსელიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ხუცოშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ბელა დურგლიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შორენა ნიკოლეიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 06 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**
1. სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის პირველ საკითხად გადატანასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:
1. სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**1. სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N2-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 925 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ირიცხებოდა 1005 მოსწავლე, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ჰქონდა მატერიალური და ტექნიკური რესურსი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისათვის ორ ცვლაში.
ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად შექმნილი იყო მშობელთა გუნდი, რომლის მიზანსაც ინკლუზიური განათლების გაძლიერება წარმოადგენდა. გარდა ამისა, სკოლა ჩართული იყო STEM მიმართულების პროექტებში, აქტიურად ფუნქციონირებდა youth stem club, რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეებში STEM მიმართულებით აემაღლებინა ცნობიერება. აღნიშნული კლუბის ფარგლებში ხორციელდებოდა ორი პროექტი „ჰიდროპონიკა“ და „ჭკვიანი სახლი“. სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ორ პედაგოგს etwining პროგრამის ფარგლებში

მინიჭებული ჰქონდა ევროპული ხარისხის ნიშანი და ამავე მიმართულებით, დაწესებულება ფლობდა Etwinning-ის სკოლის ტიტულს, რომლის თანახმად, სკოლა ევროპის მასშტაბით აღიარებული იყო, როგორც სამაგალითო ევროპული ღირებულებებისა და პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკის გამზიარებელი ინსტიტუცია.
ვერა ბენიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს" , ხოლო მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან კომპონენტი 2.2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული მოედანი. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4 კომპონენტი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) ასევე შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი. ვერა ბენიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსი, საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისათვის ორ ცვლაში. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, რომლის თანახმადაც მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი იყო 1400 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონია, დაინტერესდა ექსპერტების მხრიდან სკოლის წარმომადგენლების მზაობის შეფასებასთან დაკავშირებით, თუ , როგორ იმუშავებდნენ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გამოსწორებაზე. ექსპერტმაგანმარტა, რომ რჩევები გაიცა ერთი კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა სკოლაში იყო თანამშრომლობითი კულტურა და კათედრათა შორის ურთიერთობით მოხდებოდა აღნიშნული რჩევების გათვალისწინება. აქვე, სკოლის დირექტორმა, გია მაღლაკელიძემ, ისაუბრა იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სამედიცინო პერსონალი და ჰქონდა თუ არა ბიბლიოთეკას ცალკე სამკითხველო დარბაზი. ვერა ბენიძემ სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, ხოლო ბიბლიოთეკას ცალკე სამკითხველო დარბაზი სკოლას არ ჰქონდა.
საბჭოს წევრის, მაკა მამფორიას კითხვა შეეხებოდა , ცვლებში სწავლების საკითხს და ითხოვა დაზუსტება, რა ხანგრძლივობის იყო თითოეული გაკვეთილი. ექსპერტმააღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდისთვის სკოლა ახორციელებდა ორ ცვლაში სწავლებას და ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენდა 40 წუთს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N32 საჯარო სკოლას (ს/კ: 212705964) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N2 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების

დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, საბჭო ცვლიდა ზემოაღწერილ შეფასებას და მონიტორინგის დაწყების პერიოდად განსაზღვრავდა 24 თვეს.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა, ასევე, სკოლამ უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიასთან მისასვლელი გზის იზოლირება სკოლის დანარჩენი ტერიტორიისგან.

## 2. სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, იგი დაწესებულებასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, განმარტა, რომ ოთხივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, რადგან სკოლას არ ჰქონდა დასკვნები შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ და, ასევე, დაწესებულებაში არ იყო ინკლუზიური გარემო შექმნილი.
გიორგი მომცელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის

მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. ექსპერტმაგანმარტა, რომ სკოლის მხრიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა კომუნიკაცია აღნიშნულ პასუხისმგებელ ორგანოსთან სპორტული კომპლექსის აშენების მიმართულებით, ხოლო ამ ეტაპების დასრულების შემდგომ იგეგმებოდა დასკვნის მოპოვება. სკოლის დირექტორმა, ნინო მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები იმყოფებოდნენ სკოლაში და სიტყვიერად შენობა შეაფასეს, როგორც დამაკმაყოფილებელი, ხოლო წერილობითი დასკვნა ჯერ არ ჰქონდათ მიღებული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა თანამშრომელთა სამსახურში აყვანის წესში გაწერილი ტესტირება, კერძოდ, ინტელექტისა და პიროვნული მახასიათებლების დასადგენი დავალებები. სკოლის დირექტორმა, ნინო მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე ტესტი შედგენილი არ ჰქონდათ და როდესაც დადგებოდა ამის საჭიროება, კათედრის წარმომადგენლები ერთობლივად შეიმუშავებდნენ.
აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ტესტის შედგენისთვის გარდა კათედრის პერსონალის კომპეტენციისა საჭირო იყო ფსიქოლოგისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართულობა. დავით მალაზონიამ სკოლას მისცა რჩევა, რომ ამ კუთხით ჩამოეყალიბებინათ სანდო ინსტრუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლას (ს/კ: 204422703) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროგრამის განხორციელების ენა | ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თბილისი, გორგასლის ქ. N75 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თბილისი, გორგასლის ქ. N75 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | თბილისი, გორგასლის ქ. N75 |

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

**3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ცაგერის მუნიციპლიტეტის სოფელ ლაჯანაში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 140 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.

ნანა მონიავამ განმარტა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 1.2 და 4.2 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მე-2 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 2.2 კომპონენტი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ხოლო, რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, ის შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, უსაფრთხოების საკითხთან მიმართებით , რაც უკავშირდებოდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდს, რადგან დაწესებულების ეზოში არსებული შენობის ნანგრევები მოსწავლეებს უქმნიდა საფრთხეს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია მახარობლიძემ, განმარტა, რომ შენობების დემონტაჟთან დაკავშირებით წერილობით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, თუმცა, აქვე მან დასძინა, რომ 2024 წლისთვის დაწესებულება ა ჩასმული იყო რეაბილიტაციის პროექტში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, თუ როგორ წერდა სკოლა პროექტებს და ჰყავდა თუ არა სკოლას ხარისხის ჯგუფი, რომელიც ამოწმებდა პროექტის დაგეგმვისა და მიმდინარეობის პროცესებს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია მახარობლიძემ განმარტა, რომ პროექტის დაგეგმვა ხდებოდა თანამშრომლებსა და კათედრის წევრებთან ერთად.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა ექსპერტებს, დაესახელებინათ სკოლის ძლიერი მხარეები მეორე სტანდარტთან (კურიკულუმების განხორციელებასთან) დაკავშირებით და გაიცა თუ არა რაიმე სახის რჩევები. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, ნატო კვეტენაძემ, განმარტა, რომ ვიზიტის დროს გაცემულ რჩევებზე სკოლამ დაიწყო რეაგირება და მუშაობა ვიზიტის პერიოდშივე, გარდა ამისა, სკოლას ჰქონდა წარმატებული გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140 - ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლას (ს/კ: 242576084) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ცაგერის მუნიციპლიტეტი, სოფელი ლაჯანა |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ცაგერის მუნიციპლიტეტი, სოფელი ლაჯანა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ცაგერის მუნიციპლიტეტი, სოფელი ლაჯანა |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;
**მონიტორინგის ფარგლები** - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

**4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნორიოში, გოგებაშვილის ქ. N46-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 900 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, თუკი სწავლება განხორციელდებოდა ერთ ცვლაში, რადგან სკოლას უდასტურდებოდა 542 მერხისა და სკამის ფლობა, ხოლო ორი ცვლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 900 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი და მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 2.2 კომპონენტი სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ხოლო, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ირინა დვალმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლის შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ახალი დასრულებული იყო. მისი განცხადებით, სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სკოლა იყო სრულად ადაპტირებული, როგორც პანდუსებით, ასევე ლიფტებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წვერმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და იყო თუ არა კურიკულუმები მისთვის ადაპტირებული. ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ხოლო კურიკულუმებთან დაკავშირებით საგნობრივ ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ რჩევები და რეკომენდაციები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, მოსწავლეთა წახალისების რა პრაქტიკა არსებობდა სკოლაში და ექსპერტებს მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა პირად საქმეებში, საფეხურის ბოლოს მსგავსი შინაარსის ჩანაწერები. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ გარაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებს პირად საქმეებში მსგავსი ხასიათის ჩანაწერები არ შეხვედრიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლას (ს/კ: 226526195) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნორიო, გოგებაშვილის ქუჩა N46 |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი
**მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზებიდან გამომდინარე, საბჭო ცვლიდა ზემოაღწერილ შეფასებას და მონიტორინგის დაწყების პერიოდად განსაზღვრავდა 24 თვეს.

საბჭომ 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისი სტატუსის მქონე ფიზიკის მასწავლებლის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ინფორმაციის დაცვის მექანიზმების" შესახებ, ბიბლიოთეკაში ინვენტარიზაციისა და კატალოგიზაციის ღონისძიებების გატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებით სარგებლობის წესები და, ასევე, ვებ-გვერდზე ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### 5. სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ტაბატაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სულიკო კოროშინაძის ქ. N4-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1400 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1400 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტი 3.5 კი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

თეა ტაბატაძემ განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითრეალიზების მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ისეთი კლუბები, როგორებიც იყო - ეკოკლუბი, სამეწარმეო კლუბი, სპორტული კლუბი „ლელო“ და სხვა. ექსპერტის განცხადებით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა პროექტული სწავლება და არაფორმალური განათლება. დაწესებულებაში პოპულარობით სარგებლობდა „თანატოლგანმანათლებლის“ იდეა, რომლის ფარგლებშიც საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და ასევე დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან. მოსწავლეები გეგმავდნენ და ახორციელებდნენ ინტელექტუალურ თამაშებს, სპორტულ აქტივობებს და სახელოვნებო კონკურსებს, აგრეთვე წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა მასშტაბურ კონკურსებსა და ღონისძიებებში.

თეა ტაბატაძემ აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო 1972 წელს, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 2019 წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1400-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N155 საჯარო სკოლას (ს/კ: 202056050) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმ | ზოგადსაგანმა | |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამის სახელწოდება | ანათლებლო პროგრამის საფეხური | ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, სულიკო კოროშინაძის ქ. N4 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, სულიკო კოროშინაძის ქ. N4 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, სულიკო კოროშინაძის ქ. N4 |

საბჭომ 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

**6. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, როლანდ შავაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ამაღლებაში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას

ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
როლანდ შავაძემ განმარტა რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის ინფრასტრუქტურულ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულებაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებული იყო 2019 წელს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ექსპერტმა, როლანდ შავაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ფლობდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლას (ს/კ: 229728756) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | დაწყებითი | ქართული | ვანის მუნიციპალიტეტი, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | სოფელი ამაღლება |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ამაღლება |

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და შიდა სპორტული დარბაზის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

**7. სსიპ - ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, დაწესებულებასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის მეოთხე მიკრო რაიონის პირველ კვარტალში. .

დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.

ლიკა გიორგაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა  მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს" და კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა,  როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის მოადგილის ანგარიში, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია წარუმატებელი მოსწავლეების შესახებ კლასების მიხედვით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ჩანაწერი. სკოლის დირექტორმა, დავით ბრეგვაძემ, აღნიშნა, რომ ჩანაწერი მოიცავდა ინფორმაციას იმ მოსწავლეების შესახებ, ვინც ვერ გადალახა 5 ქულიანი ბარიერი.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოსწავლის წარმატება არ გამოისახებოდა ქულებით.

სკოლის დირექტორი დაეთანხმა აღნიშნულს და განაცხადა, რომ დასაზუსტებელი იყო დეფინიცია.

სკოლის დირექტორმა, დავით ბრეგვაძემ მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ მესამე სტანდარტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასა და ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და უახლოეს მომავალში დაასრულებდნენ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა, რამ გამოიწვია ის, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით არ გასცა რჩევები და რეკომენდაციები. ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და მიმდინარეობდა მასზე მუშაობა. ასევე, სკოლა ადასტურებდა კურიკულუმის კომპონენტებთან შესაბამისობას. ექსპერტის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და კომპლექსურ დავალებებში კარგად იყო ჩამოყალიბებული პირობა, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლის მხრიდან გაგება-გააზრებას, თუ როგორ, ან რატომ უნდა შეესრულებინა დავალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №172 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031621) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი. |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი. |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი, პირველი კვარტალი. |

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

**მონიტორინგის დაწყების პერიოდი** - 2025 წლის დეკემბრიდან;
**მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ადგილზე ვიზიტი;

**მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 1.2, 3.1, 3.4, და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა, ასევე, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ინკლუზიური გარემოს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და დასაქმებული თანამშრომლების „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შესახებ ნასამართლობის შესახებ“ ცნობების წარმოდგენა. გარდა ამისა, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაემტკიცებინა და ცენტრში წარმოედგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნებოდა გაზომვადი ინდიკატორები.

## 8. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ვანში, 26 მაისის ქუჩა N3-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.
ინა ბიწაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარკვეულ ინდიკატორებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები. ხოლო, აღნიშნული რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ძლიერი მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივები მხარდაჭერილი იყო სკოლის დირექციის მიერ. მათ მოგებული ჰქონდათ საგრანტო პროექტები, რომლებსაც წარმატებით ახორციელებდნენ. სოციალურ ქსელში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა მიერ შექმნილი სკოლის ტელევიზია „ტაბიძე TV". სკოლაში დანერგილი იყო პროექტული სწავლება. მასწავლებლები ახორციელებდნენ საერთაშორისო პროექტებს eTwinnig-ის პროგრამაში, მიღებული ჰქონდათ სერტიფიკატები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ექსპერტის გაცხადებით, სკოლის ინფრასტრუქტურა ასევე შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა მექანიზმი არსებობდა სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვისთვის. სკოლის დირექტორმა, თეონა ადეიშვილმა განმარტა, რომ მშობელსა და სკოლას შორის იყო დადებული ხელშეკრულება, რომლის ერთი მუხლიც მოიცავდა სწორედ ნებართვას მოსწავლეების ფოტოებისა და ინფორმაციის გამოყენების შესახებ და ისინი მუდმივად იყვნენ აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულნი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი გასული წლის ფინანსური ანგარიში, სადაც მოცემული იყო, რომ სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენდა 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე პერიოდის ანგარიშს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა პრაქტიკა ჰქონდა სკოლას დანარჩენი ერთი თვის ანგარიშის წარდგენის. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ცალკე ერთი თვის ანგარიშს არ იბარებდა სამეურვეო საბჭო და აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდა ტექნიკურ ხარვეზს, შესაბამისად, მოცემული უნდა ყოფილიყო თარიღები 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. აქვე, თეონა ადეიშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 229655619) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი ვანი, 26 მაისის ქუჩა N3 |

**9. სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №163 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის 3მ/რ, 1კვ/-ში.
დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1850 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1850 მოსწავლისთვის.
დავით ლიპარტელიანის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების

პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", თუმცა მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საცურაო აუზი, რომელიც იჯარით ჰქონდა გაცემული. აღნიშნული აუზით სარგებლობდნენ როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე თემში მცხოვრები ბავშვებიც.
დავით ლიპარტელიანის განმარტებით, სკოლის სპეც. მასწავლებლები და ასისტენტები ორიენტირებულნი იყვნენ თითოეული სსსმ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე. სკოლას ჰქონდა ორი რესურსოთახი და ჰყავდა 30-ზე მეტი სსსმ მოსწავლე. სკოლა ზედმიწევნით აწარმოებდა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ხელს უწყობდა სსსმ მოსწავლეების მაქსიმალურ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. აქვე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლაში არსებულ საქმისწარმოებაზე და განმარტა, რომ სკოლა აწარმოებდა კანონმდებლობის შესაბამის საქმისწარმოებას, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. ექსპერტის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა არქივი და ინახებოდა ყველა დოკუმენტაცია სკოლის დაარსების დღიდან. დავით ლიპარტელიანის განმარტებით, სკოლას ჩატარებული ჰქონდა კვლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების დასადგენად, რომლის საფუძველზეც სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო დოკუმენტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულირეკომენდაცია ეხებოდა სკოლის შემოღობვის საკითხს, ამდენად, მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის აღნიშნულზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა ქინქლაძემ, განაცხადა, რომ სკოლის ეზოს გარკვეული ნაწილი იყო შემოსაღობი, თუმცა პროექტი როგორც ღობის, ასევე მთლიანი ეზოს კეთილმოწყობის დასრულებული და გადაგზავნილი იყო სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, რომლის განხორციელებაც დაიწყებოდა სწავლის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა ეტაპზე იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების პროცესები. ლელა ქინქლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იყო 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში და მისი განხორციელებაც დასრულდებოდა გაზაფხულის პერიოდში.
საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს ასევე სთხოვა დაეკონკრეტებინა სკოლის პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღნიშნა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი იყო გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რომელთა გათვალისწინებისთვისაც აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვა დაეზუსტებინა, იყო თუ არა სკოლაში ხარისხის განვითარების სტაბილური შიდა მექანიზმი. ლელა ქინქლაძემ აღნიშნა, რომ პედაგოგები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებდნენ კათედრის სხდომებზე, ახორციელებდნენ ერთობლივ პროექტებსა და კონფერენციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1850-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N163 საჯარო სკოლას(ს/კ: 206031881) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1850-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქალაქი თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ, 1კვ |

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

დასკვნის, სკოლის პერიმეტრის შემოღობვის, ლაბორატორიაში ონკანის, ნიჟარისა და გამწოვი კარადის დამონტაჟებისა და გარემოს ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

## 10. სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ მარტვილში, მშვიდობის ქ. N11-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 750 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 750-მოსწავლისთვის.
გიორგი ნებიერიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ მათი შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მეოთხე სტანდარტი კი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 2.2 კომპონენტი სამივე საფეხურისთვის შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებთ შექმნილი იყო დებატ-კლუბი, სკოლა

ორგანიზებას უწევდა უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიების მქონე პირებთან შეხვედრას საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შესძლებოდათ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიისთვის. მათ სამომავლოდ სურდათ პროფესიული განათლების ინტეგრირება და ამისათვის სკოლა თანამშრომლობდა არაფორმალური განათლების ცენტრებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ როგორ აპირებდა სკოლა პროფესიული განათლების ინტეგრირებას სასკოლო გარემოში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ალექსანდრე კვესელავამ აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა პროფესიული განათლების სააგენტოსთან, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება პროფესიულ კოლეჯებთან ერთად აწარმოებდა სხვადასხვა პროექტს.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა უკვე ბოლო ეტაპზე იყო და უახლოეს პერიოდში დასრულდებოდა. რაც შეეხებოდა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, დოკუმენტაციის გადაგზავნისას მოხდა ტექნიკური ხარვეზი და დოკუმენტი გადაიგზავნა შეცდომით, თუმცა სკოლის მიერ დამტკიცებული იყო სწორი ვერსია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ მარტვილის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 235444088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | ქ. მარტვილი, მშვიდობის ქ N11 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | | |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ქ. მარტვილი, მშვიდობის ქ N11 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ქ. მარტვილი, მშვიდობის ქ N11 |

საბჭომ 1.2, 3.1, 3.4 და 2.2 კომპონენტების (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის წარმოდგენა, 3.1 კომპონენტთან მიმართებით უზრუნველყოს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა. კერძოდ, უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციების იდენტურობა. ასევე, უზრუნველყოს წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-11[1] მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციებიდან ოთხი სავალდებულო ფუნქციის გათვალისწინება, განათავსოს მასწავლებელთა პირად საქმეებში ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ასევე, სკოლამ უნდა მოიპოვოს და წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან. 2.2 კომპონენტთან მიმართებით სკოლამ უნდა უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მოწყობა/აშენება და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 20:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა